პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 62 (1544) ○ ხუთშაბათი, 26 მაისი, 1960 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო ტურნირი

სურათზე: ო. რუბცოვა და ე. კელერ-გერმანი (მარჯვნივ) დაინტერესდნენ მ. ტოგონიძის პოზიციით ვ. ბილეკნესთან.

ფოტო ი. იუნაევისა.

პოლიტიკამ გადასძლია...

ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტმა 24 მაისს მადრიდიდან გადმოსცა ცნობა იმის შესახებ, რომ წინა დღეს, 23 მაისს ესპანეთის ხელისუფლებაში, აგრეთვე სპორტულ ხელმძღვანელ ორგანოებში ცხარე დავა მიმდინარეობდა სსრ კავშირისა და ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მომავალ შეხვედრათა შესახებ ევროპის თასის ნახევარფინალში.

როგორც ცნობილია, პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის უნდა შემდგარიყო 29 მაისს მოსკოვში, ხოლო მეორე—მადრიდში, 9 ივნისს.

და აი მაშინ. როცა კარზე იყო მომდგარი ეს უაღრესად საინტერესო და საპასუხისმგებლო მატჩი, რომელიც ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში, ესპანეთიდან მოვიდა უარი. ფრანკისტულმა მთავრობამ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ გაეკეთებინა ერთგულების ჟესტი დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის მიმართ, გამოეხატა თავისი ლაქიური მორჩილება „ამა ქვეყნის ძლიერთა“ წინაშე და აუკრძალა თავის ფეხბურთელებს საბჭოთა კავშირში გამგზავრება, აგრეთვე აკრძალა საბჭოთა ფეხბურთელთა მიღება ესპანეთში.

24 მაისამდე არ იყო მიღებული რაიმე ოფიციალური გადაწყვეტილება. გუნდის წევრები, ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციის ხელმძღვანელები და მათი თანმხლები პერსონალი, სულ 60 კაცი, 25 მაისს უნდა გამოფრენილიყო მოსკოვს ბრიუსელის გავლით. ვიზები მათთვის უკვე მზად იყო.

მაგრამ ეს ვიზები სადღაც „საიმედო“ სეიფში ჩაკეტეს საგულდაგულოდ და დელეგაციას მისცეს სიტყვიერი ბრძანება: არა...

ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა ესპანეთის ხელისუფლება თავს არიდებს საბჭოთა სპორტსმენებთან შეხვედრას სპორტულ სარბიელზე. ჯერ კიდევ 1958 წელს ევროპის ჩემპიონთა თასზე კალათბურთში ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ ესპანეთის „რეალი“ და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მაგრამ მმართველმა წრეებმა მაშინაც არ ისურვეს შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენებთან, აუკრძალეს გუნდს გამგზავრება და კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია იძულებული იყო დიდი ფულადი თანხით დაეჯარიმებინა „რეალი“.

ანალოგიური მდგომარეობაა ახლაც. ესპანეთის ფეხბურთელებს მთავრობა უკრძალავს თამაშს, ხოლო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას უკვე იჯარით აქვს ამ მატჩისათვის აღებული მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. გარდა ამისა, გაყიდულია ყველა ბილეთი მადრიდის უდიდეს სტადიონზე. ე. ი. სხვა ყველაფრის გარდა, ფიფა-ს საგრძნობი ზარალი მოუწევს. ამის გამო ფიფა-ს ხელმძღვანელობა ყოველგვარ ზომებს მიმართავდა, რომ არ ჩაშლილიყო მატჩები და შეჯიბრებას ნორმალური მსვლელობა ჰქონოდა, მაგრამ ესპანეთის მთავრობა ჯიუტად იდგა თავის გადაწყვეტილებაზე.

გუშინ ჩვენი რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციას, საიდანაც გადმოგვცეს, რომ ოფიციალურად ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის გუნდების მეოთხედფინალური მატჩების ჩაშლის შესახებ. საბჭოთა ნაკრების მოთამაშეები დაუბრუნდებიან თავიანთ გუნდებს, ხოლო ფიფა ამ საკითხზე მიიღებს საგანგებო გადაწყვეტილებას.

ლ. ვოლპერტი— ლიდერი

ლიდერთა „დუელმა“ დიდძალ მაყურებელს მოუყარა თავი VII ტურზე, რომელშიც ვოლპერტი ეთამაშებოდა პოლიხრონიადეს, ხოლო გაფრინდაშვილი ზვორიკინას. ორივე ლიდერს აწყობდა მხოლოდდამხოლოდ გამარჯვება. ეს აშკარად დაეტყო პარტიების მსვლელობას.

ადვილად მიაღწია სასურველს ვოლპერტმა. პოლიხრონიადემ სუსტად გაითამაშა დებიუტი და მალე იგრძნო „ჰაერის“ ნაკლებობა. იმის მაგიერ, რომ გამოემჟღავნებია შეუპოვრობა და მდგომარეობა გამოესწორებინა, მან ზერელედ ითამაშა, ფიგურა წააგო. და მე-17 სვლაზე დანებდა. მთელი საღამო გრძელდებოდა გაფრინდაშვილი-ზვორიკინას შეხვედრა. დასაწყისში უპირატესობა ქართველი ოსტატის მხარეს იყო, მაგრამ შემდგომ თამაში გათანაბრდა. ყველა ელოდა ყაიმს. გაფრინდაშვილი კი მოგებაზე თამაშობდა, თუმცა ათიოდე წუთი ჰქონდა დარჩენილი 15 სვლაზე. [illegible] დროის ნაკლებობამ თავისი თქვა. 37-ე სვლაზე, როცა პოზიცია კვლავ თანაბარი იყო, გაფრინდაშვილს საათზე ალამი ჩამოუვარდა. მას უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ჭადრაკის ლოგიკით წარმოქმნილი პოზიციის ბედის შემოტრიალება ყოველთვის ხელოვნურად არ შეიძლება.

კვლავ გაგვახარა შესანიშნავი თამაშით ტოგონიძემ. მისი პარტია ბილეკნესთან მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის ო. რუბცოვას აზრით დაამშვენებს საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა შემოქმედებას. მართლაც, ამ პარტიაში ტოგონიძემ გამოავლინა დებიუტის საუცხოო ცოდნა, დასახული გეგმის თანმიმდევრული განხორციელების საუცხოო ტექნიკა და კომბინაციური დარტყმის მომხიბლავი ოსტატობა.

აი თვით პარტიაც:

მ. ტოგონიძე—ე. ბილეკნე

ძველინდური დაცვა

1. c4 g6 2. მc3 კg7 3. g3 მf6 4. e4 e5 5. კg2 0—0 6. მge2 d6 7. 0—0 კe6 8. d3 ლc8 9. f4 c6 10. მფh1 კh3 11. f5 კ:g2+ 12. მფ:g2 მbd7 13. h3 მe8 14. g4 ლd8 15. g5 f6 16. h4 მb6 17. მg3 ეf7 18. ეh1 a5 19. h5 fg 20. hg hg 21. fg ეd7 22. cd cd 23. მf5 dc 24. ლb3+ მფf8 25. მ:e4 მd5 26. მ:g5 ლb6 27. ლ:b6 ab 28. ეh8+! კ:h8 29. მe6+ და ბილეკნე დანებდა შამათის გამო 29.... მფg8 30. მh6×.

კონარკოვსკამ მოუგო შტადლერს და გავიდა ლიდერთა ჯგუფში. კელერ-გერმანმა დაამარცხა კაკაბაძე, ხოლო სუხა-ჩაიკოვსკაიას პარტია გადაიდო ბათუმელი მოჭადრაკის უპირატესობით.

გუშინ დილით, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ტოგონიძემ მოუგო ჩაიკოვსკაიას, ვოლპერტმა — ბილეკნეს, ხოლო კაკაბაძე და კონარკოვსკა ყაიმზე შეთანხმდნენ.

საღამოს VIII ტურში მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა. სუხამ შუა თამაშში დაკარგა ეტლი და მყისვე დანებდა ბილეკნეს. ძლიერად ითამაშა ვოლპერტმა შტადლერის წინააღმდეგ. გამსვლელი პაიკის შექმნით ვოლპერტმა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ჩაიკოვსკაია დანებდა გაფრინდაშვილს. ყაიმით დამთავრდა კონარკოვსკა-კელერ-გერმანის შეხვედრა.

დაუმთავრებელ პარტიებში საყაიმო პოზიციაა პოლიხრონიადე-ტოგონიძის პარტიაში, ხოლო კაკაბაძეს ოდნავ უკეთესი პარტია აქვს ზვორიკინასთან.

VIII ტურის შემდეგ ლ. ვოლპერტს 7,5 ქულა აქვს, ნ. გაფრინდაშვილს—6 ქულა, ჰ. კონარკოვსკას — 5 ქულა, მ. ტოგონიძეს — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპ“. (მ)	8	7	1	0	17:5	15
„დინამო“ (მ)	9	4	2	3	12:5	10
სკა (როსტ.)	8	4	2	2	9:9	10
„დაუგ.“ (რიგა)	8	2	5	1	7:3	9
„დინ“. (თბ)	7	3	2	2	16:6	8
„სპარტ.“ (ერ)	7	3	2	2	11:8	8
„ზენიტი“ (ლ)	8	3	2	3	9:9	8
„პახტ“. (ტაშ)	7	2	2	3	6:13	6
„ავანგ“. (ხ)	8	1	3	4	5:10	5
„მოლდ“. (კიშ)	8	2	1	5	6:13	5
„კალ“. (ტალ.)	8	0	2	6	6:23	2

• • •

გუშინ თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის სტადიონზე შედგა თბილისის „დინამოსა“ და ტაშკენტის „პახტაკორის“ დუბლშემადგენლობათა მატჩი. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:0.

კიშინიოვი. 24 მაისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „ავანგარდი“ (ხარკოვი).

ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა „მოლდოვამ“.

რიგა. ჩემპიონატის მატჩი რიგის „დაუგავასა“ და როსტოვის არმიელთა გუნდს შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

მოსკოვი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო“ შეხვდა „კალევს“ (ტალინი).

მატჩი მოიგეს დინამოელებმა — 4:0.

ლენინგრადი. ადგილობრივმა „ზენიტმა“ ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე მიიღო ერევნის „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

1960 წლის ჩემპიონები კრივში

ლენინგრადში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება კრივში. როგორც ცნობილია, საქართველოდან ამ ტურნირში ოთხი მოკრივე გამოდიოდა — ს. ჩატულიდი (მჩატე წონა), ჭ. კვანტალიანი (მსუბუქი წონა), ვ. არუთინიანი (პირველი ქვესაშუალო წონა) და რ. აკოფოვი (მეორე საშუალო წონა).

გადამწყვეტი შეხვედრების პირველსავე ეტაპზე — მეოთხედფინალებში მათ წააგეს და დაკარგეს შემდგომ ბრძოლებში მონაწილეობის უფლება.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები მოიპოვეს (წონითი კატეგორიის მიხედვით). ს. სივკომ (მოსკოვი), ბ. სტეპანოვმა (მოსკოვი), ბ. ნიკანოროვმა (მოსკოვი), გ. კაკოშკინმა (ლენინგრადი), ვ. კარიმოვმა (ალმა-ატა), ი. როდონიაკმა (მოსკოვი), ი. სობოლევმა (ლენინგრადი), ე. ფეოფანოვმა (მოსკოვი), ა. ლიასოტამ (მოსკოვის ოლქი), ა. აბრამოვმა (მოსკოვი).

• • •

სურათზე: ქვემსუბუქი წონის მოკრივეები ს. სტეპაშკინი (მოსკოვი) და XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. საფრონოვი (მარჯვნივ). გაიმარჯვა ს. სტეპაშკინმა.

ფოტო ვ. კაპუსტინისა.

ლაპარაკობდნენ გულახდილად

◆

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲘ

◆

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მორიგ პლენუმზე „სოფლის მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მომხსენებელმა — ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. ჟღენტმა და მოკამათეებმა — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოების თავმჯდომარეებმა — ხ. სიჭინავამ და გ. თაბუევმა, რაისაბჭოთა თავმჯდომარეებმა — უ. მამედოვმა (მარნეული), შ. ჩანგელიამ (ზუგდიდი), ქ. სტეფანიანმა (ახალციხე), მ. სომხიშვილმა (გორი), ი. ბაცანძემ (გურჯაანი), ვ. ყაჯრიშვილმა (სიღნაღი), ახმეტის რაიონის სოფელ არგოხის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. თედეშვილმა, შემოქმედის ძირეული საბჭოს თავმჯდომარემ ა. დუმბაძემ, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობას თავმჯდომარემ ო. ბეგიაშვილმა, ა. გოგიაშვილმა (ცეკავშირი), ს. აბულაძემ (დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი) და სხვებმა ილაპარაკეს სოფლის ფიზკულტურული ორგანიზაციების, სპორტსმენების, ნაკრები გუნდების საქმიანობაში არსებულ მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე.

პლენუმზე აღინიშნა, რომ მარტო გასულ წელს საზოგადოების წევრთა რიცხვი 22.838 კაცით გაიზარდა, ხოლო საერთო რაოდენობამ 170 ათასს გადააჭარბა. მაგრამ ეს ციფრი ჯერ კიდევ ცოტაა. შარშან გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმები, საგრძნობლად გაიზარდა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა რიცხვი. მთელმა რიგმა ძირეულმა კოლექტივებმა ახალ საწყისებზე გარდაქმნეს მუშაობა, განსაკუთრებით დაწინაურდენ მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის, ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ბობოყვათის კოლმეურნეობის, საჩხერის რაიონის საირმის კოლმეურნეობის, სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის კოლმეურნეობის და სხვათა ფიზკულტურული კოლექტივები.

პლენუმზე კიდევ ბევრი რამ ითქვა მიღწევებზე, მაგრამ ცენტრალური ადგილი მაინც იმ ნაკლოვანებათა მხილებას დაეთმო, რომლებიც საზოგადოების ფიზკულტურელებს ხელს უშლიან უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებაში. ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ დღემდე ყველგან არ არის ჩამოყალიბებული ფიზკულტურული კოლექტივები, ახალქალაქისა და ხაშურის რაიონებში ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ ფიზკულტურული ორგანიზაცია 10 კოლმეურნეობაში, ბოლნისში — 9 კოლმეურნეობაში, ჰიათურასა და ორჯონიკიძეში — 12 კოლმეურნეობაში, სამხრეთ ოსეთში — 61 კოლმეურნეობაში და ა. შ.

განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ახმეტის, ხაშურის, თელავის, ახალქალაქის, ბოლნისის, ზესტაფონის, მარნეულის, წალკის, გორის, ლენტეხის, სამტრედიის, საჩხერისა და სხვა რაიონებში.

მთელი რიგი ძირეული კოლექტივები და რაისაბჭოები გულგრილად ეკიდებიან ღონისძიებათა ჩატარების საქმეს, საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილი ხშირად რჩება შეჯიბრებათა გარეშე. ასე, მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონში 1859 წევრიდან, შარშანდელ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 325-მა, ბორჯომის რაიონში — ერთმა მეოთხედმა, ლანჩხუთის რაიონში საზოგადოების წევრთა ორი მესამედი მთლიანად მოწყვეტილია ფიზკულტურასა და სპორტს. ეს შესაფერის გავლენას ახდენს სპორტული მაჩვენებლების ზრდაზე. ისეთ მოწინავე რაიონშიც, კი, როგორიცაა ზუგდიდი, შარშან შეჯიბრებაში მონაწილე 10.400 ფიზკულტურელიდან სათანრიგო ნორმატივი შეასრულა 137-მა.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე სასწავლო-სპორტული მუშაობის, საზოგადოებრივი კადრების მომზადების სპორტული ბაზების მშენებლობის, საწევრო ანარიცხების აკრეფის, სპორტინვენტარით კოლექტივების მომარაგების, საწარმოო ტანვარჯიშისა და სხვა საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე. აღინიშნა, რომ სასწავლო-სპორტული მუშაობა საგრძნობლად ჩამორჩება ვანის, ქარელის, თერჯოლის, ხაშურის, თეთრი წყაროს, ახმეტისა და სხვა რაისაბჭოებში.

სოფლად სპორტული მუშაობის ამგვარმა დონემ განაპირობა ის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე საქართველოს დელეგაციაში მხოლოდ 18 კაცი იყო სოფლის ორგანიზაციების წარმომადგენელი. ამაში ერთგვარი „წვლილი“ მიუძღვის საზოგადოებრივი კადრების ნაკლებობასაც. ჯერ კიდევ ბევრი ფიზკულტურელია დარჩენილი ხელმძღვანელობის გარეშე ბოგდანოვკაში, წითელწყაროში და სხვაგან, სადაც 100 მომეცადინეზე ერთი ინსტრუქტორი მოდის.

რესპუბლიკის სოფლის ფიზკულტურელთა მაჩვენებლების დაბალი დონე განსაზღვრულია ბაზების სიმცირითაც. მართალია, უკანასკნელ წლებში აიგო საჭიდაო დარბაზები, მთელი რიგი ბაზები ჩადგა მწყობრში, დაგეგმილია ახალი ბაზების მშენებლობა, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადო მხარდაჭერას ვერ პოულობს ძირეულ კოლექტივებში საზოგადოებრივ საწყისებზე კომპლექსური და მარტივი ტიპის სპორტნაგებობათა მშენებლობის საქმე. განსაკუთრებით საჭიროებს ყურადღებას ზამთრის სპორტული ბაზების მშენებლობის საკითხი, მით უმეტეს ახლა, როცა განზრახულია რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადების ჩატარება ზამთრის სახეობებში.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა იურიდიული საწევრო შენატანების ამოღების საქმე, მაგრამ შარშან გეგმის 15 პროცენტი მაინც შეუსრულებელი დარჩა. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩამორჩებიან ახმეტაში, სადაც გეგმის თითქმის 50 პროცენტი დარჩა შეუსრულებელი, ბოლნისში — 70 პროცენტი, გორში გეგმით გათვალისწინებული 255 ათასი მანეთიდან ამოიღეს მხოლოდ 99 ათასი მანეთი და სხვ. ცხადია, ყოველივე ამას ვერ დავაბრალებთ კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარეებს. რაისაბჭოები რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ძირეული კოლექტივების ფიზკულტურულ მუშაობას, კოლმეურნეობები ხედავდნენ თუ რაზე იხარჯება მათი დანაზოგი, ცხადია, არც საწევროს გადახდაზე იტყოდნენ უარს.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘ

სოხუმში გაიმართა საქალაქთაშორისო შეხვედრა ძალოსნობაში საქართველოს „კოლმეურნისა“ და ლატვიის „ვარპას“ გუნდებს შორის, ეს შეხვედრა მოიგეს საქართველოს წარმომადგენლებმა ანგარიშით 6:1, პირად ჩათვლაში უძლიერესები აღმოჩნდნენ: ა. ჰოლოკიანი (287,5 კგ), რ. დათიკაშვილი (290 კგ), ა. გრიგორიანი (342 კგ), ჭ. აბდუშელიშვილი (352,5 კგ), ი. ყუბანეიშვილი (385 კგ), (ყველანი „კოლმეურნიდან“), პ. იოსტსი („ვარპა“ — 392,5 კგ) და გ. კოშაძე („კოლმეურნე“ — 400 კგ).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ი. ყუბანეიშვილი და ლატვიელი ა. პოეტე ფიცარნაგზე.

ფოტო და ტექსტი ვ. სემიონოვისა.

◆

ყველასათვის ცნობილია სპორტის დამსახურებული ოსტატის მ. ჯუღელის ინიციატივის შესახებ, რომელმაც უკვე ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მ. ჯუღელი თავის აღსაზრდელებთან ვარჯიშის დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

◆

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲑᲘᲔᲚᲝᲐ

◆

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ-ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲕᲔᲚᲝᲢᲠᲔᲙᲖᲔ

◆

სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის პირველობა ველორბოლაში ტრეკზე, რომელშიც მონაწილეობდნენ „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ბურევესტნიკის“ და სხვა ორგანიზაციების უძლიერესი სპორტსმენები.

პირველ დღეს გათამაშდა სპრინტი და გუნდური რბოლა. ვაჟთა შორის სპრინტი მოიგო სპარტაკელმა ი. იუხნევიჩმა, მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაკლუბელი მ. ბატაშვილი, ხოლო მესამეზე — „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელი ვ. შაინოვი. ქალთა შორის უძლიერესი იყო ა. კარპენკო.

გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე საშუალო შედეგით (5.22,4) მოიგო სამგორის „კოლმეურნის“ გუნდმა შემდეგი შემადგენლობით: ჯ. ზანდუკელი, შ. შაყულაშვილი, ვ. სიკორსკი და ს. გოცირიძე. ქალთა შორის ველორბოლის ამ სახეობაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკის“ სპორტსმენთა კოლექტივმა (გ. ატლანოვა, ნ. კარპენკო).

მეორე დღეს გაიმართა გიტი 500 მეტრზე ადგილიდან ვაჟებისათვის, აქაც პირველი იყო სპარტაკელი ი. იუხნევიჩი. ჯგუფურ რბოლაში 30 წრეზე გამარჯვება მოიპოვა „სპარტაკის“ გუნდის მეორე წარმომადგენელმა გ. გეორქოვმა, ქალებში უძლიერესი იყო გ. ატლანოვა („ბურევესტნიკი“). სალიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე გაიმარჯვა „კოლმეურნის“ წარმომადგენელმა ს. გოცირიძემ (ლიდერი ა. გუნია). უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახეობაში სპორტსმენთა შედეგები არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, მიზეზი ველოსიპედისტთა მოუმზადებლობაა.

ბოლო დღეს გაიმართა წყვილთა შეჯიბრება 30 კილომეტრზე 13 ფინიშით. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 წყვილი. პირველი ადგილი დაიკავეს „კოლმეურნის“ წარმომადგენლებმა ჯ. ზანდუკელმა და ვ. სიკორსკიმ. მათ მეორე ადგილზე გამოსულ სპარტაკელთა წყვილს ერთი წრით გადაასწრეს, ხოლო დანარჩენ მონაწილეებს — ორი წრით. გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: „სპარტაკი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“.

ქალაქის პირველობამ ცხადჰყო, რომ ველოსპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებას ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება მთელ რიგ სპორტსაზოგადოებებში. განა სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ მთლიანი გუნდების გამოყვანა შეძლეს მხოლოდ „სპარტაკმა“ და „ბურევესტნიკმა“, ხოლო ისეთმა ავტორიტეტულმა და ძლიერმა სპორტსაზოგადოებამ, როგორიცაა „დინამო“, მონაწილეობა მიიღო მხოლოდ სალიდერო რბოლაში?

რესპუბლიკის ველოსიპედისტებს მთელი რიგი საპასუხისმგებლო შეჯიბრებები აქვთ ჩასატარებელი მიმდინარე წელს, რომელთა შორის უახლოესია „ა“ კლასის კოლექტივთა 6 ქალაქის მატჩი. თუ თბილისის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა დროულად არ მოჰკიდეს ხელი სპორტსმენთა მზადების საქმეს, შესაძლებელია ჩვენმა რესპუბლიკამ დაკარგოს ადგილი „ა“ კლასში. ეს ამბავი დასანანი იქნება მით უფრო, რომ წინა წლებში ჩვენს ველოსიპედისტებს საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდათ მსგავს შეჯიბრებებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალი სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია ტრეკზე რბოლა.

Ა. ᲒᲣᲜᲘᲐ,
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ.

სპორტული ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეფილდ უენსდეი" ჩამოვიდა თბილისში

ცენტრალური ინგლისის (მიდლენდის) სამრეწველო ქალაქ შეფილდიდან პროფესიულ ლიგაში თამაშობს ორი გუნდი: „შეფილდ იუნაიტედი" და „შეფილდ უენსდეი". „იუნაიტედმა". რომელიც წლების განმავლობაში პირველ ლიგაში თამაშობდა, ვერ გაუძლო მძაფრ კონკურენციას და მეორე ლიგაში გადაინაცვლა. ახლახან დამთავრებულ 1959-60 წლების სეზონში „შეფილდ იუნაიტედი", რომლის შემადგენლობაშიც ეროვნული ნაკრების მეკარე ჰოპკინსონი თამაშობს, შეუპოვრად იბრძოდა პირველ ლიგაში გადასვლისათვის, მაგრამ უკანასკნელ მომენტში „კაპიტულაცია მოახდინა" ისეთ გუნდებთან, როგორიც არიან „ასტონ ვილა" (ქ. ბირმინგამი) და „კარდიფ სიტი" (კარდიფი).

1957-58 წლების სეზონში „შეფილდ უენსდეის" მოუხდა პირველი ლიგის დატოვება. ამაში მთავარ დამნაშავედ სამართლიანად თვლიან ვირუსულ გრიპს, რომლითაც უცბათ დაავადდა მთელი გუნდი. სეზონის დასაწყისში, როცა გუნდები „ფორმაში შედიოდნენ", „შეფილდ უენსდეი" თამაშს თამაშზე სტოვებდა (არნახული შემთხვევაა ინგლისისათვის), რადგან მთელი კლუბი საავადმყოფოში იწვა. მაგრამ გუნდს ერთ სეზონზე მეტი არ გაუტარებია მეორე ლიგაში 1959-60 წლების სეზონში იგი კვლავ პირველ ლიგაში დაბრუნდა, მაგრამ არა როგორც მისი რიგითი წევრი. არამედ როგორც პირველი ადგილის ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი. მართალია, სეზონის დასაწყისში „უენსდეის" რამდენიმე სერიოზული დამარცხება აგემეს, მაგრამ ოქტომბრისათვის გუნდმა დაადგინა თავისი საბრძოლო შემადგენლობა და ჩადგა ლიდერთა რიგებში. „შეფილდ უენსდეიში" გაატარა თავისი უკანასკნელი სეზონი გამოჩენილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა ტომ ფინეიმ, რომელმაც ჩემპიონატის დამთავრებისთანავე განაცხადა, მეტს აღარ ითამაშებს. ჩვენმა სტუმრებმა დაამარცხა ინგლისში გასტროლებზე მყოფი მოსკოვის „ტორპედო" (2:1).

„შეფილდ უენსდეის" რამდენიმე მოთამაშე შედის ინგლისის პირველ და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებში. ინგლისის უძლიერეს მეკარედ ითვლება „უენსდეის" მოთამაშე, 24 წლის სპრინჯეტი, რომელიც პირველად 1959 წლის შემოდგომაზე შეიყვანეს ნაკრებში. სპრინჯეტს ჩინებული რეაქცია აქვს, თამაშობს თავგანწირულად. 15 მაისს მადრიდში მან განადგურებისაგან იხსნა ინგლისის ნაკრები. ნაკრების ცენტრალური მცველია 23 წლის სვენი. ეს უკვე მეოთხე მოთამაშეა, რომელიც ერთი წლის მანძილზე მწვრთნელმა უინტერბოტომმა „გასინჯა" ბ. რაიტის ადგილზე. მადრიდში სვენმა ვერ „ჩაკეტა" დი სტეფანო, მაგრამ ეს, ცხადია, მისთვის დანაშაულად არ ჩაუთვლიათ.

ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც ამ დღეებში დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები, შედიან მარჯვენა ნახევარმცველი კეი და თავდამსხმელი ფანტამი.

„შეფილდ უენსდეის" მოთამაშეებს კარგი ტექნიკა და ფიზიკური მომზადება აქვთ. გუნდი პირველადაა საბჭოთა კავშირში.

• • •

ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო პროფესიული კლუბის „შეფილდ უენსდეის" პირველმა მატჩმა მოსკოვის არმიელთა გუნდთან დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის სპორტულ საზოგადოებრიობაში.

არმიელებმა პირველივე წუთებიდან უაღრესად მაღალი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. ისინი ზუსტი, სწრაფი გადაცემებით განუწყვეტლივ უტევდნენ „შეფილდ უენსდეის" კარს, სადაც მოფიქრებული თამაშით გამოირჩეოდნენ მცველები და მეკარე სპრინჯეტი.

მოსკოველთა იერიშებიდან მეორე ტაიმის დასაწყისში ერთ-ერთი გოლით დაამთავრა მარჯვენა შუამარბმა მამიკინმა. ამ გოლმა მოსკოველებს მოუტანა გამარჯვება — 1:0.

საქართველოს
პირველობა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა შეხვედრა წულუკიძეში ადგილობრივ „ფეიქარსა" და ცხაკაიას „განთიადს" შორის. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც „განთიადის" მეკარის შეცდომის შედეგად იქნა გატანილი სტუმრების კარში — 1:0.

დამაჯერებლად ჩაატარეს შეხვედრა ლანჩხუთის „გურიის" ფეხბურთელებმა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან. განსაკუთრებით კარგად ითამაშეს მასპინძლებმა მეორე ტაიმში და მიაღწიეს გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

ხობის „კოლხეთისა" და რუსთავის „ქიმიკოსის" შეხვედრაში პირველი ბურთი გაიტანეს ხობელებმა. ეს უპირატესობა მათ შეინარჩუნეს მეორე ტაიმში და მატჩი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშით 2:1.

რამდენიმე წარუმატებლად ჩატარებული მატჩის შემდეგ სამტრედიის „ლოკომოტივმა" დიდი მონდომებით ითამაშა თბილისის არმიელთა გუნდის წინააღმდეგ. სამტრედიელები წინ იყვნენ ჯერ კიდევ პირველ ტაიმში 2:1, ხოლო გამარჯვება განმტკიცებული იქნა შესვენების შემდეგ — 3:1.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ჩოხატაურში ადგილობრივ „ბახმაროსა" და ქობულეთის „შუქურას" შორის. ჩოხატაურელმა მდივანმა გაიტანა მოწინააღმდეგის კარში ერთი ბურთი, რომელმაც „ბახმაროს" მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 1:0.

მორიგ წარმატებას მიაღწია ტყიბულის „შახტიორმა", რომელიც სულ უფროდაუფრო აუმჯობესებს თამაშს. ტყიბულელებმა ამჯერად საკუთარ მინდორზე დაამარცხეს ქუთაისის „დინამო" ანგარიშით 2:0.

უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა ორი მატჩი. ფოთში თამაშობდნენ ადგილობრივი „განთიადი" და ახალციხის „მესხეთი", ხოლო ქუთაისში — „იმერეთი" და თბილისის „სინათლე". ორივე შემთხვევაში ანგარიში არ გახსნილა.

კარგად ჩაატარეს თავიანთი მორიგი მატჩი სტალინირის სპარტაკელებმა, რომლებმაც გორში დაამარცხეს ადგილობრივი „დილა" — 3:1.

ბათუმის „განთიადისა" და ჭიათურის „მაღაროელის" შეხვედრაში აშკარად იგრძნობოდა ბათუმელთა უპირატესობა. დინამოელებმა მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს 4 ბურთი, ხოლო თავისაში არ მიუღიათ არც ერთი.

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი „სიხარული" და ზუგდიდის „ოდიში". მოწინააღმდეგეთა კარებში გატანილ იქნა თითო ბურთი — 1:1.

მეექვსე დამარცხება განიცადა თბილისის „ბურევესტნიკმა". სტუდენტთა გუნდს ამჯერად მოუგო სოხუმის „დინამომ" — 1:0.

თამაშები გაიმართა II ჯგუფის გუნდებს შორისაც. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიში:

I ზონა. „კოლმეურნე" (ამბროლაური)-„ცისარტყელა" (აბაშა) — 1:2, „მეტალურგი" (ზესტაფონი)-„სამეგრელო" (ზუგდიდი) — 0:0, „ნარინჯი" (ჩაქვი), „კოლმეურნე" (ტყიბული) — 1:3, „ლაითური" (ახალციხე)-„კოლმეურნე" (საჩხერე) — 3:0, „ალი" (დიდი ჯიხაიში)-„ხვამლი" (ცაგერი) — 1:1.

II ზონა. „ნარინჯი" (გალი)-„განთიადი" (გუდაუთა) — 0:3, „ტორპედო" (გაგრა)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 2:0, „შრ. რეზერვები" (ოჩამჩირე)-„თაიგული" (ლანჩხუთი) — 1:1, „რიონი" (ქუთაისი)-„მეშახტე" (ტყვარჩელი) — 2:1, „ინგირი" (ზუგდიდი)-„სპარტაკი" (ჩოხატაური) — 4:2, „ცისკარი" (ბათუმი)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 3:0, „სპარტაკი" (ვანი)-„ვოდნიკი" (ფოთი) — 2:2.

III ზონა. „პიშჩევიკი" (თბილისი)-„რატევანი" (ბოლნისი) — 2:0, „ალგეთი" (თეთრი წყარო)-„ელმავალი" (თბილისი) — 4:3, „მექანიზატორი" (ადიგენი)-„გრდემლი" (თბილისი) — 1:1, „ლოკომოტივი" (გურჯაანი)-„აბული" (ახალქალაქი) — 0:3, „არაგვი" (დუშეთი)-„განთიადი" (კასპი) — 2:1, „ჩანჩქერი" (ბორჯომი)-„ტორპედო" (თბილისი) — 0:4.

IV ზონა. „არაგვი" (მცხეთა)-„ნარიყალა" (თბილისი) — 3:2, „შირაქი" (წითელწყარო)-„მშენებელი" (რუსთავი) — 1:1, „ჩანჩქერი" (ლაგოდეხი)-„ქართლი" (ქარელი) — 3:0, „ნადიკვარი" (თელავი)-„დურუჯი" (ყვარელი)—0:2, „თრიალეთი" (წალკა)-ახალგაზ. ფეხ. სკოლა (თბილისი) — 0:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია" (ლანჩხუთი)	7	5	1	1	21:8	11
„მეშახტე" (ტყიბული)	6	4	2	0	21:5	10
სკა (თბილისი)	7	5	0	2	12:4	10
„შუქურა" (ქობულეთი)	6	3	1	2	6:5	7
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	6	3	1	2	9:9	7
„კოლხიდა" (ხობი)	7	3	1	3	6:11	7
„ფეიქარი" (წულუკიძე)	6	2	2	2	12:5	6
„განთიადი" (ცხაკაია)	5	2	1	2	6:8	5
ფიზკ. ინსტიტ. (თბ.)	4	2	0	2	9:8	4
„დინამო" (ქუთაისი)	6	1	2	3	3:9	4
„ბახმარო" (ჩოხატაური)	6	2	0	4	6:13	4
„კოლმეურნე" (თელავი)	6	1	0	5	8:23	2
„ქიმიკოსი" (რუსთავი)	6	0	1	5	5:14	1

• • •

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„იმერეთი" (ქუთაისი)	7	6	1	0	11:4	13
„დინამო" (სოხუმი)	7	4	1	2	14:8	9
„სინათლე" (თბილისი)	5	3	2	0	12:4	8
„სიხარული" (მახარაძე)	6	3	2	1	10:4	8
„მესხეთი" (ახალციხე)	6	3	2	1	11:5	8
„განთიადი" (ბათუმი)	6	3	2	1	9:4	8
„კოლხიდა" (ფოთი)	7	3	2	2	9:7	8
„ისანი" (თბილისი)	6	2	2	2	8:6	6
„სპარტაკი" (სტალინირი)	6	3	0	3	6:9	6
„დილა" (გორი)	7	3	0	4	11:17	6
„ოდიში" (ზუგდიდი)	6	0	2	4	7:12	2
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	6	0	0	6	2:14	0
„მაღაროელი" (ჭიათურა)	7	0	0	7	7:28	0

ასპარეზობენ მუხნარის იპოდრომზე

ქუთაისი. (ჩვენი სპეც. კორ.). მუხნარის იპოდრომზე მიმდინარეობს საქართველოს მორიგი, XX პირველობის გათამაშება საცხენოსნო სპორტში. პირველ ჯგუფში გამოდიან თბილისის, ზუგდიდისა და გუდაუთის გუნდები, ხოლო მეორეში — ქუთაისის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, ფოთისა და ოჩამჩირის ცხენოსნები.

16 საუკეთესო მხედარი იბრძოდა დაბრკოლებათა გადალახვაში „შეჯიბრების გახსნის პრიზზე". ოთხმა მონაწილემ დააგროვა ქულათა თანაბარი რაოდენობა — 8. მათ შორის მოეწყო დამატებითი ხტომები. საუკეთესო შედეგს მიაღწია ცხაკაიას გუნდის წევრმა ლ. ლაშქარავამ. მომდევნო ადგილზე არის თბილისელი ვ. პეშჩეროვი.

მაყურებლები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს შეხვედრებს ისინდში. გუდაუთელებმა ანგარიშით 10:4 მოუგეს ჩოხატაურელ ცხენოსნებს, ხოლო ცხაკაიასა და ფოთის გუნდების შეხვედრაში. უძ-

(დასასრული მე-4 გვ.)

სურათზე: ცხენბურთი. თამაშობენ გუდაუთელები და ჩოხატაურელები. წინა პლანზეა ჩოხატაურელი მეგრელიშვილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ასპარეზობენ მუხნარის იპოდრომზე

(დასასრული)

ლიერესნი იყვნენ ცხაკაიელები — 5:1.

დოღში დაბრკოლებებით 3 კილომეტრზე ფინიშთან პირველი იყო ზუგდიდელი ვ. დარასელია—3.43,2.

ცხენბურთელთა შეჯიბრებაში ქუთაისმა მოუგო ოჩამჩირეს—2:1, ხოლო გუდაუთმა—ცხაკაიას—9:4.

დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში „საქართველოს სსრ თასზე“ ორი გიტის შედეგად უძლიერესი აღმოჩნდა ზუგდიდელი ა. შონია, მომდევნო ადგილებზე არიან ი. ფიფია (გუდაუთი) და ი. გირუნი (თბილისი).

დაბრკოლებებიან დოღში 2 კილომეტრზე გამარჯვება მოიპოვა ფოთელმა კ. მელიამ.

გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები ცხენბურთში: ფოთმა მოუგო ქუთაისს — 5:0, ხოლო ჩოხატაურმა — გუდაუთს — 11:0. ისინდში ცხაკაიელებმა მოუგეს ოჩამჩირეს, ხოლო გუდაუთისა და ქუთაისის გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ფრედ.

შეჯიბრება „მცირე პრიზზე“ მოიგო თბილისელმა სპორტის ოსტატმა მ. ერისთავმა, ხოლო „საშუალო პრიზზე“ საუკეთესო იყო მისივე გუნდის წევრი ა. დგებუაძე.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

ლ. ფაჩუაშვილი

ახალგაზრდები აზარებენ გამოცდას

სოხუმის „მონკავშირის“ სტენდზე სამ დღეს გრძელდებოდა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში სოხუმის, ტყვარჩელის, გუდაუთისა და სოხუმის რაიონის სპორტსმენთა მონაწილეობით. ადგილიდან სროლაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა კ. შენგელიამ, რომელმაც 137 ქულა მოაგროვა 200 შესაძლებლიდან. მრგვალ სტენდზე სროლაში გაიმარჯვა ბ. სეგალევიჩმა, გუნდურ ჩათვლაში პირველნი იყვნენ სოხუმელი სპორტსმენები. აღსანიშნავია ახალგაზრდების რ. ბახუტაშვილის, ხ. კიუტის, ნ. ცეკვავას, მ. ხიკუბას და სხვათა კარგი მაჩვენებლები.

• • •

სურათზე: მესტენდურეთა შეჯიბრება. ისვრის ოსტატი კ. დარასელია. ფოტო ვ. სემიონოვისა.

★

რუსთავის ბავშვთა სპორტსკოლის მოსწავლეები კარგახანია ემზადებიან მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის.

• • •

სურათზე: სპორტსკოლის მოსწავლე ა. გიორგაძე ერთადგილიანი ბაიდარით დისტანციაზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. კულენკოვისა.

★

საყურადღებო აპარატი

სპორტული მიღწევები ბევრადაა დამოკიდებული ბუნებრივ გარემოზე, რომლის ერთ-ერთი ფაქტორი — სუფთა ჰაერი სპორტული გამარჯვების საწინდარია. ჰაერი განსაკუთრებით მოქმედებს დახურულ ბაზებში მოვარჯიშე სპორტსმენებზე. გახშირებული სუნთქვის გამო ისინი ჩვეულებრივზე მეტ ჰაერს ფილტრავენ და მაშასადამე, დახშული ჰაერიდან დიდი რაოდენობით ითვისებენ ბაცილებსა და მტვერს.

ამ მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს ჩაუკვირდა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სამეურნეო დარგის მუშაკი ვ. ზურგაშვილი და ჰაერის გამსუფთავებელ-მარეგულირებელი აპარატის შექმნა განიზრახა. ყველა არსებული ჰაერის მფილტრავ საშუალებათაგან განსხვავებით, ზურგაშვილმა ჰაერის გასაფილტრად გამოიყენა ჩვეულებრივი წყალი, რომლის ტემპერატურის ცვლით შესაძლებელია ჰაერის ტენიანობისა და სითბოს რეგულირება.

ვ. ზურგაშვილის ფილტრატორი ნებისმიერი სიდიდის, ძალისა და პორტატულობის შეიძლება დამზადდეს. აპარატის მოწყობილობა უბრალოა. იგი შედგება ელექტრომოტორის, ჰაერის შემწოვი ვენტილატორის, ჰაერის გამტარი მილის, წყლის აუზისა და ჰაერის გამცრელი ბადურისაგან. მუშაობის პრინციპიც მარტივია: მოტორით ამუშავებული ვენტილატორი ბადურსარქველიან მილში შეიწოვს ჰაერს, რომელიც გაივლის წყლის კუბს ქვევიდან ზევით საცრისგან პატარა ბურთულაკებად დაქუცმაცებული წყვეტილი კამარის სახით. წყლის ზედაპირიდან მტვრისგან თითქმის აბსოლუტურად გასუფთავებული ჰაერი მოეფინება შენობას. ჰაერის შადრევანი ეფექტური აპარატია დარბაზების, სამქროებისა და საცხოვრებელი ბინების სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გასაუმჯობესებლად.

ა. ცამციშვილი

სიერა ტარაჰუმარას არაჩვეულებრივი მორბენლები



სურათზე: სიერა ტარაჰუმარას ტომის ერთ-ერთი საუკეთესო მორბენალი ჰუან მასეირა.

უცხოეთის პრესაში ბევრს წერენ სიერა ტარაჰუმარაზე (მექსიკა) დასახლებულ, ამავე სახელწოდების ინდიელთა ტომის საოცარ მორბენლებზე, რომლებიც წარმოუდგენლად გრძელ მანძილებს ნამდვილ სარეკორდო დროში ფარავენ.

ტარაჰუმარათა რბენა მართლაც გასაოცარია. მაგრამ მათი უნარი და შედეგები უფრო დაბალია, ვიდრე გრძელ დისტანციებზე ცნობილი მორბენლებისა. მიუხედავად ამისა, არის რაღაც განსაკუთრებული ამ შედარებით პატარა ტანის ხალხში, რომლებსაც გარეგნულად ვერ მიაწერდით ასეთ უზომო უნარს.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს მათი სარბენი გზები: ტყის ვიწრო ბილიკები, სოფლის მტვრიანი შარაგზები, ძნელად გადასალახი მდინარეები, გახურებული ასფალტით დაფარული რამდენიმე გზატკეცილი. 100 ან 250 კმ დაფარვა მათთვის არ წარმოადგენს რაიმე სიძნელეს. ისინი იშვიათად დარბიან 30 კმ ნაკლებ მანძილზე.

მაგრამ რა დროში? დამკვირებელნი და შეჯიბრებების მომწყობნი ასე თუ ისე შედარებით საკმაოდ დადგენილ შედეგებს იძლევიან: 24,2 კმ დაფარული ყოფილა 2:52 საათში, რაც საკმაოდ კარგი შედეგია მარათონელი მორბენლისათვის. ორმა უცნობმა ამ ტომიდან 100 კმ დაფარეს 8:35 საათში, ხოლო ჰუან მასეირამ 265 კმ გაიარა 27 საათში. დაბოლოს. რაც არ უნდა დაუჯერებლად ეღერდეს, მაინც სინამდვილეა: ლოის როსასმა გაირბინა 560 კმ და ამისთვის მას დასჭირდა 72 საათი. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ეს კილომეტრები გავლილია დასერილ მადამოებზე.

ნამდვილ ფეხსაცმელს ისინი თვით რბენის დროსაც კი არ ატარებენ. უკეთეს შემთხვევაში მათ ფეხის გულზე ამოფარებული აქვთ გუაჩარები. ტანზე შემოკრული აქვთ საბანლო ტრუსისმაგვარად მაუდის ნაჭერი, ან აცვიათ თავისებური ტრუსები.

მაგრამ არც ტანსაცმელი და არც დისტანციები არ წარმოადგენენ იმ არსებითს, რაც ტარაჰუმარას მორბენლებს ანსხვავებს ჩვენი სპორტსმენებისაგან. ის, რასაც მხოლოდ ინდიელი მორბენლები ხმარობენ, ეს არის ხის პატარა ბურთი, რომელიც მთელი რბენის დროს მათ წინ მიგორავს. ისინი მას ფეხის რტყმევით კი არ მიაგორებენ წინ, არამედ, მორბენალი ჩასჭიდებს რა მას ფეხის თითებს, ისვრის შორს წინ, შემდეგ მისდევს მას, კვლავ ისვრის და ასე შემდეგ. ეს არის ერთგვარი გართობა, თამაში ხანგრძლივი რბენის დროს, რაც მორბენალს საშუალებას არ აძლევს ადრე იგრძნოს დაღლა.

ზოგი მათგანი ამას გარდა ხმარობს კენჭებით სავსე ბამბუკის ჯოხს. მათი ჩხარუნი არღვევს რბენის მონოტონურობას წყნარ ტყეში. ჯოხი სხვა დანიშნულებასაც ასრულებს. იგი შესაფერი საყრდენია, როდესაც მორბენალს სურს ერთი წუთით შეისვენოს.

შეჯიბრებები ტარდება სპორტული წესების დაცვით. მაყურებლები, რომლებიც კარერას (შეჯიბრება რბენაში) დროს გვიან საღამომდე არ იშლებიან, ალფრთოვანებული ოვაციებით ხვდებიან გამარჯვებულს.



ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

28 მაისი

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

„შეფილდ უენსდეი“ (ინგლისი) — „დინამო“ (თბილისი)

დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

29 მაისს

დელისის იპოდრომი

საქართველოს დოსააფის პირველობა საიპოდრომო რბოლაში მოტოციკლებით

მონაწილეობენ: თბილისის, სოხუმის, ქუთაისის, თელავის, რუსთავისა და სკა-ს გუნდები.

დასაწყისი 16 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-84, გამომშვებების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02555